კვირა. 21 აგვისტო 1927 წ. № 114 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

ფრონტებზე კატასტროფიული მდგომარეობის გამო ჩან-კაი-ში გადადგა.
ჩან-კაი-ში ამერიკაში მიდის.
(დეპეშებიდან).



ჩან-კაი-ში: მე ჩემი საქმე გავაკეთე და ეხლა სხვებისთვის დამითმია ასპარეზი.

# ერთი სამუშაო დღე

ჩიტო იხვაძე დღეს განსაკუთრებით გვიან გამოცხადდა სამსახურში.

მიზეზები რამდენიც გინდათ, იმდენი იყო. რომ დავალაგოთ ისინი ასე დაიყოფოდენ:

1. გუშინ, ჯერ კიდევ სადილის შემდეგ შელაპარაკება მოუხდა ცოლთან ზოგიერთ სადაო საკითხებზე, რამაც შუაღამემდი გასტანა და გვიანობამდი არ დაწოლილა.

2. დილას რაღაც კარგი სიზმარი ნახა და როდესაც ერთი წამით გამოერკვა, ისევ სწრაფად დახუჭა თვალები, რომ სიზმარი გაგრძელებულიყო... სიზმარი მართლაც გაგრძელდა. მაგრამ, ყველამ კარგად იცის, რომ დაძინება კაცის ნებაა, მხოლოდ გამოღვიძება კი მეტ შემთხვევაში მუშკოპის მერძევის. ეს უკანასკნელი კი დღეს ძალიან გვიან გამოცხადდა თავის რაიონში.

3. როდესაც, ბოლოს რის ვაი-ვაგლახით ადგა და ჩაისთვის წყლის ადუღება განიზრახა, აღმოჩნდა რომ ტიპტოპში ნავთი აღარ იყო და ათი წუთი ნავთის ჩასხმას მოუნდა. (ცოლს უკვე მოესწრო სადღაც წასვლა).

4. როდესაც ჩაი უკვე მზად იყო, გამოირკვა, რომ პური იყიდელი და 20 წუთი მის მოტანაზე დაიკარგა.

5. პურის მოტანის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ჩაის უკვე მოესწრო გაცივება და ეხლა გაცხელებას საჭიროებდა.

6. დაბოლოს, როდესაც ქუჩაში გამოვიდა და ტრამვაის ვაგონში ჩაჯდა, კონდუქტორმა კატეგორიული უარი განაცხადა მანეთიანის დახურდავებაზე და ვაგონიდან ჩამოსვა. ვინაიდან ყველა კონდუქტორები ერთი და იგივე მოდგმისა და ჯიშის არიან, იძულებული იყო საკუთარ ფეხებს დანდობოდა.

7. გზაში უეცრად ერთ შორეულ ნათესავს წააწყდა, და მისი ნაჩქარევად მიტოვება უხერხული იყო, სანამ არ გამოკითხა ყველა უცნობ და ნაცნობ ნათესავების სვებედი და დამაკმაყოფილებელი პასუხები არ გასცა ნათესავის გამოულეველ კითხვებს.

8. ყველა ამის შემდეგ დიდი უაზრობა იქნებოდა რომ აჩქარებულიყო, რადგან სულ ერთია ისედაც გვიან იყო და ამიტომ გზაში ნელი ნაბიჯით მიდიოდა.

9. სიცხიანი დღე იყო, ამიტომ მალე გაოფლიანება იგრძნო და რომ ცოტა გაგრილებულიყო, ლაღიძესთან შეუხვია რამდენიმე წუთით და მისდაუნებურად ცოტა შეუგვიანდა.

10. დაბოლოს, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, გამგე შვებულებაში იყო წასული და ჩიტოს ეხლა არავინ ყავდა თვალყურის მადევნებელი. და შენიშვნების მიმცემი. მოადგილესთან კი კარგ განწყობილებაში იყო.

და აი, სწორედ ამ ათი პუნქტის წყალობით ჩიტო მხოლოდ თორმეტის ნახევარზე გამოცხადდა სამსახურში რვის ნაცვლად და დაგვიანების მიზეზად ცოლის ავადმყოფობა მოიმიზეზა.

— დასიცხა მგონი გუშინ. ძალიან საშიშ მდგომარეობაშია.

— კაცო, რაღას მოსულხარ მერე... წადი სახლში, ავადმყოფს მოუარე!.. აღშფოთდენ ყველანი.

მაგრამ ამ ბოლო დროს უწყებაში რაღაც ხმები დადიოდა შტატების შემცირების შესახებ. ამიტომ ჩიტომ უიმედოთ ჩაიქნია ხელი და მწუხარე ხმით წარმოსთქვა:

— რა ვქნა... ხლაფორთს და დავიდარაბას ისევ მუშაობა სჯობია... ხომ იცით ჩვენი ადმინისტრაციის ამბავი...

ყველანი გაჩუმდენ. ოთახში თითქოს მოჩვენებამ გაიარაო.

სრული 12 საათი იყო, როდესაც ჩიტო მოუჯდა თავის მაგიდას, გაშალა ქაღალდები და მუშაობას შეუდგა.

სიცხე მატულობდა. მაგიდაზე დაგროვილ ქაღალდების ერთი დანახვა მთელი კვირით დაუკარგავდა კაცს მუშაობის ხალისს, მაგრამ ჩიტო ენერგიულად შეუდგა ქაღალდების შესრულებას, რადგან მან იცოდა, როგორ უნდა ემუშავა და რა წესით მიდგომოდა საქმეს. საერთოდ, ცხოვრებაში ჩიტოს თავისი დამახასიათებელი წესები ქონდა.

არსებობს სამი წესი ქაღალდების შესრულების და თვით მუშაკზეა დამოკიდებული, თუ რომელ წესს უფრო შეეგუება იგი.

ზოგი მომუშავე ჯერ გულდასმით გადიკითხავს შესასრულებელ ქაღალდს, შემდეგ ნახევარ საათით ჩაფიქრდება, შემდეგ კიდევ გადაიკითხავს ქაღალდს, მოილეკს სიამოვნებით ტუჩებს და კიდევ დაფიქრდება. ამის შემდეგ კიდევ ორჯერ გადიკითხავს ქაღალდს, შეისწავლის ყოველ წერტილს და მძიმეს, და მხოლოდ შემდეგ შეუდგება საპასუხო მიმართვის შედგენას. როდესაც მიმართვა დაწერილი იქნება, კიდევ ორჯერ-სამჯერ გადაიკითხავს მომართვასაც და მიმართვასაც, მოაწერს ხელს და პატიოსან შრომით მოდენილს ოფლს შუბლიდან სახელოთი მოიწმინდავს. ასეთი ხალხი უფრო ცნობილია ვოლოკიტჩიკების სახელით.

ზოგი მომუშავე კი სულ სხვანაირად უდგება საქმეს. ის აიღებს თუ არა მომართვას, სწრაფად გადაავლებს თვალს პირველ სტრიქონს, ელვის სისწრაფით გადახტება ერთ რომელიმე შუა სტრიქონზე და ასეთივე სისწრაფით გადახტება უკანასკნელ სტრიქონზე. ეს სრულებით საკმარისია. შემდეგ ზიზღით გადაისვრის ქაღალდს გვერდზე, მიაჩერდება ჭერს წამით და თვალის დახამხამებაში საპასუხო მიმართვას გამოაცხობს. მორჩება რა თავისს საქმეს, ზანტად ამოიღებს უჯრიდან პაპიროსს, გაივლის ნელი ნაბიჯით მეზობელ ოთახში ცეცხლისათვის. დაბრუნდება ნახევარ საათის შემდეგ, დააცქერდა დაღლილ თვალებით ქაღალდებს და ერთ საათით თამბაქოს ლურჯ ბოლში გაეხვევა.

ო, ასეთმა მომუშავემ იცის მუშაობაც და დასვენებაც. ამგვარ მუშაკებსაც აქვთ შესაფერისი სახელწოდება.

არიან კიდევ მესამე ჯურის მუშაკები, რომლებიც პირველ ორს შუა ქანაობენ. ესენი პირველებთან და მეორებთან შედარებით ყოვლად უბადრუკი ხალხია, საკუთარ ორიგინალობას მოკლებული. ეს ხალხი, გარდა იმისა, რომ ასრულებს თავის ქაღალდებს, ასრულებს კიდევ პირველ ორ ჯგუფის მიერ შეუსრულებლად დატოვებულ ქაღალდებსაც. სხვა რამისათვის ისინი გამოუსადეგარნი არიან. მათი სავსებით გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შტატების შეკვეცაზე მიდგება საქმე. ასეთ შემთხვევაში ისინი პირდაპირ ჰაერივით აუცილებელი არიან და შეკვეცის მთელი სიმძიმე მათ ზურგზე გადადის.

ჩიტო მეორე ჯგუფის მუშაკებს ეკუთვნოდა, ამიტომ პირველი ორი ქაღალდი ამ ჯგუფის დამახასიათებელ წესით შეასრულა.

როდესაც სრულ ორ საათზე მესამე ქაღალდსაც მოჰკიდა ხელი, უეცრად დაამთქნარა, მაგრამ ნებისყოფით დაჭიმვით სძლია დაღლილობას და ექსპრესის სისწრაფით გადაიკითხა პირველი, შუა და უკანასკნელი სტრიქონი, რომლებიც შეხმატკბილებულად ასე ღაღადებდენ.

„გიბრუნებთ რა ჰინჰილტრესტის მომართვას ა. წ. გაწყვეტა ჩვენის აზრით ყოვლად მიუღებელია უკმაყოფილებას გამოსთქვამს და საჩივრით იმუქრება".

ჩიტომ შეატრიალა კალმისტარი და არც კი დაფიქრებულა, ისე შეუდგა საპასუხო მიმართვის შედგენას.

თქვენი მომართვა ა. წ. 10 აგვისტოს თარიღით № 12357 სავსეა კურიოზებით და აუარებელ გრამატიკულ შეცდომებით. არ არის არავითარი კავშირი წინადედებს შორის, რის გამო მომართვის აზრი ჩვენთვის გაუგებარი რჩება. გარდა ამისა თქვენი სიტყვები „ჩვენის აზრით" ყოვლად დაუშვებელია და მიუღებელი, რად-

# „წყნარი“ ჩინეთი

„უცხოეთის გაზეთები სწერენ, რომ
ჩინეთში სრული სიწყნარეა, მაგრამ მაინც
განაგრძობენ სამხედრო გემების გზავნას“...




— ხომ ხედავ შვილო? აი ამას ქვია დაწყნარებული-ოკეანე!

გან „ჩვენი აზრი“ შეიძლება ქონდეს მხოლოდ მთავარ სამმართველოს. რაც შეიძლება უკმაყოფილებას, საჩივარს და მუქარას, ამაზე მოგეთხოვებათ სასტიკი პასუხი და საქმე გადაეცემა პროკურორს“.

ჩიტომ ერთის მოსმით მოაწერა ქაღალდს ხელი, და რადგან დასვენების დრო აღარ იყო საჩქაროდ შეუტანა მიმართვა გამგის მოადგილეს, მოაწერია ხელი და უკვე ყოველმხრივ განმზადებული ქაღალდი რეგისტრატორს ჩააბარა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ შესრულდა სამისნახევარიც, ჩიტომ მიალაგა მაგიდა, დაიხურა ქუდი და ჩქარი ნაბიჯით ქუჩაში გამოვიდა.

სინემატო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი აგრონომობა

ბავშობიდანვე მიზიდავდა მცენარეების ცხოვრება და უმაღლეს სასწავლებელშიც ამ დარგს დავეწაფე. ავირჩიე აგრონომობა და გადავწყვიტე გამოვსულიყავ ყოველ მხრივ „განსწავლული“ მეცნიერი, მცოდნე და სპეცი.

ასეც მოვიქეცი:

სხვები თუ რაღაც სამ-ოთხ წელიწადს უნდებიან უნივ. გათავებას, მე ცხრა წელიწადი მოვანდომე ამ საქმეს. ესე იგი 1918 წელში შეველ პირველ კუსრზე და წელს „გავათავე“. სიტყვა „გავათავე“-ს ფრჩხილებში იმიტომ ვსვამ, რომ ეს ეკუთვნის პროფესორს, რომელმაც ამ გაზაფხულზე მითხრა:

— მოქალაქე ქოჩორაძევ, გაგვათავეთ ესაა, წადით ახლა, სოფელს დაუბრუნდით, მშობლები გეყოლებათ, პატრონობას გაგიწევენ, აქ ადგილს ტყუილად ნუღარ აცდენთო.

თუმცა მე ისევ პირველი კურსის მსმენელად ვითვლებოდი, მაგრამ პროფესორის სიტყვებიდან სრულიად გარკვეული დასკვნა გამოვიტანე ე.ი. უნივერსიტეტი გათავებულად ჩავთვალე და გადავწყვიტე სოფელს „დავბრუნებოდი“.

სოფელი, რა თქმა უნდა, მომელოდა, როგორც ახალ ძალას, განათლებულსა და ცოდნით აღჭურვილს, რომ მისთვის ხემლმძღვანელობა გამეწია და ჩვენი კუთხის ჩამორჩენილ მეურნეობაში გადატრიალება მომეხდინა.

მოხდა ისე, რომ ჩემს მაგიერ ბედი ამუშავდა და უცბად გამომიჩნდა **„ყოვლად შემძლე და ყოვლად მოწყალე“** (უფალი კი არა, პროტექცია) ჩემი ბიცოლა, ეპრაქსია კარგი ნაცნობი აღმოჩნდა საცერტრესტის დირექტორის მოადგილის თანაშემწისა და სურვილი გამოსთქვა ჩემი „მოწყობის“ შესახებ. მე ვითაკილე.

— როგორ, განა იმიტომ აღვიჭურვე უმაღლეს ცოდნით, მამაოჩვენოსავით იმიტომ დავიზეპირე: ზოოლოგია, ბიოლოგია, ქრონოლოგია, ასტროლოგია, გეოლოგია, ტავტალოგია, გეოგრაფია, კალიგრაფია, ფოტოგრაფია, ბიბლიოგრაფია, ასტრონომია, ავტონომია, ეკონომია, მექანიზმი, ფუტურიზმი, პაროქსიზმი, პროტექციონიზმი, ექსპრესიონიზმი და ათასი იზმი, ზაცია, ლოგია და მაგია, რომ ბოლოს მაინც პროტექციით მოვეწყო და ისიც საცერტრესტში? არასოდეს! თუ აქ ზოგიერთ უცხო ქვეყნიდან მოსულებს შეუძლიათ მუშაობა და საქმის სათავეში ჩადგომა, ჩემზე უფრო უპრიანია, მე უფრო „ქართველი ვარ ჩემი სამშობლო ორ ზღვას შუაა გადაჭიმული“.

— ხა,ხა,ხა,ხა! ბავში ყოფილხარ, ჩემო კარგო! ეგ, რაც ჩამოსთვალე მართლაც რომ იცოდე, არაფერს გიშველის, თუ...

— რა „თუ“?

— თუ პროტექცია არ გექნება!—განა არ იცი, რომ უპროტექციოდ თეთრი კატა შავ კატასაც კი არ გაეცნობა ჩვენს დროში?

— კი მაგრამ, ასეც რომ იყოს, ეხლა ხომ პროტექციას სასტიკი ბრძოლა აქვს გამოცხადებული?..

— საიდან წარმოიდგინე? პროტექციასთან ბრძოლის კამპანია დიდი ხანია რაც ჩატარდა, მაშასადამე კამპანიის დამთავრების შემდეგ ის უკვე დავიწყებას მიეცა და პროტექციამაც ისევ გაშალა ფრთები.

— აბა გაზეთებში რომ სწერენ ვებრძოლოთ პროტექციასო?

— ის გაზეთები იბრძვიან,—გამგეები კი თავისებურად სჭრიან და ჰკერავენ—ხომ იცი—სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა—შუა უზის პროტექცია... აი, ავიღოთ თუნდ ფასების დაკლების კამპანია, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის კამპანია: კამპანიების დროს ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც საჭირო იყო, შემდეგ კი—ისევ ძველ რეჟიმს დაუბრუნდენ კოოპერატორებიც და დირექტორ-სპეცებიც:— იმათ ფასები ისევ „აათამაშეს“ ხოლო ბიუროკრატებმა კი საქმეების გაჭიანურებას უფრო უმატეს. ასეა ქვეყანა, სანამ **ერ-კა-ი** მათ კუდზე ფეხს დაადგამდეს—გაძრომ-გამოძრომა უნდა, პროტექცია და ნაცნობობაა საჭირო, ყველა ასე იქცევა და შენ ხომ გამონაკლისი არ იქნები?

— კი მაგრამ საცერტრესტს მაინც რა კავშირი აქვს აგრონომობასთან?

— ძალიან დიდი: ტრესტი ამზადებს საცერს, საცერში სცრიან ფქვილს, ფქვილს ხორბლისაგან ღებულობენ, ხორბალი სოფელში მოჰყავთ, სოფელს აქვს მეურნეობა და შენ კი გინდა ამ მეურნეობის სათავეში მოექცე,—მაშასადამე საქმეც საცრიდან უნდა დაიწყო... ერთის სიტყვით, მე ხვალვე წავალ საცერტრესტსტში და საქმეც მოკვარახჭინდება.

რაღა თავი შეგაწყინოთ, საქმე დაიწყო „თხამ ვენახი შეჭამა“-ს მსგავსად და გათავდა იმით,რომ მე დავინიშნე წაბლოვანის რაი-აგრონომად.

სოფლად ჩემი მოღვაწეობა დაიწყო სანიტარულ კომისიასთან ბრძოლით: წარმოიდგინეთ ამ კომისიის უვიცობა—დადიოდა ეზო-ეზო და გლეხებს ძალით ასუფთავებინებდა კარ-მიდამოს აზიდვინებდა საქონლის პატივს (ფუნას), აწმენდინებდა ზაურლებს, სანაგვეებს და სხვა ასეთებს, სადაც იყო მცენარაულობის სასუქი.

— რას სჩადით უგუნურნო, განა არ იცით, რომ ნეხვი და დამპალი ნაგავი მეტად საჭიროა სოფლისათვის? ეგ პირველი წამალია მოსავლისთვის, ჩვენი მიზანია მეურნეობის აყვავება, მისი კულტურულ ნიადაგზე დაყენება, მიწების განაყოფიერება—ამისათვის საჭიროა ფუნა, ბუჩო, ნეხვი, ნაგავი, ეს სიმდიდრეა სოფლის—თქვენ კი ამ სიმდიდრეს ართმევთ და სოფელს ცარიელზე სტოვებთ? ცოცხალის თავით არ დაგანებებთ ამ ფუნას, იგი მე მინდა! ასე შევეტაკე სანიტარულ კომისიის თავმჯდომარეს.

— ყმაწვილო, თქვენ ჭკუაზე ხომ არ გადამცდარხართ? ჯანმრთელობის დასაცავად სისუფთავეა საჭირო, ჩვენ ამ სისუფთავეს ვიცავთ—თქვენ კი ნაგავსა და უწმინდურებას ეპატრონებით?

— არასოდეს, ცოცხალის თავის არავის დავანებებ ამ ძვირფას ნეხვსა და ბუჩოს ის მე მინდა—ვყვიროდი მე.

ამ შეტაკებას გლეხებიც დაესწრნენ და შუაკაცობა დაგვიწყეს. ერთმა მოხუცმა მომმართა მე:

— რითვინა ჩხუბობთ შენი ჭირიმე?—ე, ნეხვი სოფელში ბევრია, რამტონიც გნებავს მიირთვი, დანარჩენი კი ემაგა ცანტარკამისიას დაუთმე, მაგასაც თავისი საჭიროება აქვ, ორივე ნაწავლები ხართ, ნაგავზე არ გაჩხუბებთ?

— თქვენ რა იცით ტეტიებო, რა ძვირფასია ფუნა?— იგი ბურჯი ჩვენი ცხოვრების, იმაზე შენდება მეურნეობა, ეკონომიკა, სტატისტიკა, დინამიკა, სოფისტიკა, კრიტიკა, იგია სინტეზი ჩვენი ეკონომური მდგომარეობის სტაბილიზაციის.

— ენგრე იყოს შენი ჭირიმე, მაგრამ ქართულათ გაგვაგებინე მაგ ნეხვის ამბავი, შენი „ტიკებისა“ არაფერი გვესმის.

— მე გატყობთ, რომ თქვენ მეურნეობისაც არაფერი გესმენიათ,—მაშ რახან ასეა, უნდა მოვიწვიოთ ხალხის ყრილობა, სადაც მე წაგიკითხავთ ლექციას მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ. მაშინ ყველაფერი გასაგები გახდება თქვენთვის...

მე თქმა და საქმე ერთად ვიცი: მაშინვე წაველ აღმასკომში და სამშაბათისთვის მოვაწვევინე მთელი რაიონის გლეხთა კრება.

როცა ხალხი შეიყარა, ისმოდა ბუზღუნი და საყვედური:

— ამ გახურებულ მუშაობი დროსა, რა დროს კრებაა, იგეთი რა გაჭირება დაადგა მა გამჩენ ძაღლსა, რითვი გვაცდენს, რითვინაო?

მაგრამ აბა უსწავლელ ხალხს თუ არ აუხსენი, რა ესმის ასეთი მოხსენების მნიშვნელობისა?

მოხსენება ასე დავიწყე:

— მოქალაქენო, ესე იგი სოფლელნო, (აქ დავიწყე ნერწყვის ყლაპვა, მერე ერთი ჭიქა წყალი დავაყოლე, შემდეგ საფეთქლების სრესა დავიწყე, შუბლზე ოფლი მო-

ვიწმინდე, ხალათის და შარვლის ღილები გავისწორე, ჩავახველე, დავამთქნარე და განვაგრძე:

— ამხანაგბო! (გულმა დაგი-დუგი დამიწყო, ისევ ჭიქა წყალი, ისევ საფეთქლების სრესა, ოფლის წმენდა, ნერწყვის ყლაპვა და სხვა).

— გლეხებო, ე. ი. სოფლის პროლეტარიატო!..

— თქვი, რასა სწვალობ? რა ბუტული შაგიძვრა მაგ ვერანა გუგრაში?

— ხალხო, თქვენ იცით, რა არის სოფლის მეურნეობა? სოფლის მეურნეობა არსებითად განსხვავდება ქალაქის მძიმე ინდუსტრიისაგან, ის აქამდე პატრიარქალურ დონეზე დგას, საჭიროა მისი რაციონალიზაცია, მელიორაცია, მექანიზაცია, რესტავრაცია და სტაბილიზაცია...

— ქართულათ გვითხარი, ქართულათ!..

— მაშასადამე მეურნეობას უნდა გაუმჯობესება. ეს თქვენი მოვალეობაა, მე გასწავლით და თქვენ კი უნდა შეასრულოთ.—ავიღოთ მაგალითად ყანის თესვა: ყველამ იცის, რომ კარგად დათესილი ცერცვი კარგს ყანას იძლევა და ყანა კი ხორბალს გვაძლევს (გლეხებმა თვალები სჭყიტეს!) ყანას ჰყავს ბევრი მტერი—მაგალითად თაგვი, თაგვები უეჭველად უნდა მოვსპოთ. რითი შეიძლება თაგვების ძოსპობა? აქამდე თაგვებს ებრძოდენ კატებით. ეს საქმეს არ შველის, რადგან ზოგიერთი კატა ჩხავანაა და თაგვებს აფრთხობს.

ამისათვის საჭიროა მაშინიზაცია, ე. ი. მექანიკური თაგვის საჭერები. ანუ ხაფანგები. მაშასადამე თქვენ უნდა შეიძინოთ ხაფანგები და თვითეულ ჯეჯილის ძირში თითო ხაფანგი უნდა დასდგათ. ხაფანგზე უნდა წამოაგოთ თითო ნაჭერი ყველი, ან კარაქი. ყოველ დილით უნდა ჩამოიაროთ მინდორში და გასინჯოთ ხაფანგები, თუ თაგვები დაჭერილი აღმოჩნდა, უნდა გამოიყვანოთ ისინი, თვალები დასთხაროთ და ისე გაუშვათ, ცხადია თვალებ-დათხრილი თაგვები მოსავალს ველარაფერს დააკლებენ და ყანა უვნებელი გადარჩება. (გლეხებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს!)

ახლა ავიღოთ მევენახეობა: თქვენ იცით, რომ პანტის ხე უფრო მსხვილ და ტკბილ ბოლოკს ისხამს, ვიდრე გარეული მაჟალო,—ისიც გეცოდინებათ, რომ თავის დროზე დამყნილი თუთის ხე უფრო მსხვილ და ნოყიერ კარტოფილს იძლევა; ასევეა ჭარხალიც: ჭარხლის ხეს უფრო ხშირად უნდა შაბიამნით შეწამვლა და გოგირდის შეყრა. რაც შეეხება კომბოსტოს ის ალვის ხეზე ამოდის, ალვის ხეს კი უყვარს წყალი: თუ გინდათ, რომ კარგი კომბოსტო მიიღოთ, ხშირად უნდა მორწყოთ ალვის ხეები. (გლეხების გაოცებას და ჩურჩულს ბოლო აღარ მიეცა).

გადავიდეთ ახლა მებოსტნეობაზე: თქვენ იცით, რომ ყურძენი მარტის ბოლო რიცხვებში ითესება. ყურძნის დასათესად ყველაზე კარგ ადგილად არის ცნობილი ნაკელით გაპატივებული ბოსტანი, რომელსაც ხშირად უნდა აოშვა და გამარგვლა. ფორთოხალისთვის კი პირიქით ქაობიანი ადგილია საჭირო. თქვენ იცით, რომ ფორთოხალს ისხამს კარგად მოვლილი პიტნის ხე და თუ პიტნა დროზე არ ჩამოიკაფა, მაშინ ფორთოხალი იქცევა ხურმად.

საზამთრო და ნესვი ნიგვზის ხეებიდან (ე. ი. კაკლის ხიდან) თავის დროზე უნდა ჩამობერტყოთ ჯოხით, ხოლო კაკალი ფრთხილად უნდა მოკრიფოთ ოხრახუშის ტოტებიდან—ისე, რომ არ დაიჭყლიტოს. კომში და ვაშლი მზესუმზირას ფესვებზე იზრდება—მიწაში. ის ისე ფრთხილად უნდა მოთხაროთ ხოლმე, რომ არ დაჭიანდეს.

მებაღეობაც ჩვენში ძველი დარგია: აქ პირველი ადგილი უჭირავს ვაზს: ხომ გაგიგონიათ ილია წერეთლის სიტყვები „ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირისო“. ვაზი ისხამს ლეღვსა და ატამს, ხანდისხან წაბლსაც იძლევა,—მაგრამ რა ატირებს ვაზს ამხანაგებო? ატირებს ის, რომ ჩვენში მეურნეობა ჩამოქვეითდა, ვაზის მოვლა ძველი წესითა სწარმოებს სოფელს აკლია ხელმძღვანელობა, აკლია აგრონომები.

# სამართლიანი შიში

ზაფხულის განმავლობაში თბილისის მოქალაქეებმა დალიეს რამოდენიმე ასი ათასი ვედრა ლუდი, ბორჯომი, კვასი და სხვა ცივი გაზიანი წყლები.




— ვაი თუ თითონ მეც ერთ დღეს გაზათ ვიქცე!

აქამდე თუ ასე იყო ამხანაგებო, ამას იქით უნდა ვეცადოთ გამოვაცოცხლოთ სოფლის მეურნეობა. ამისათვის მე არ დავიშურებ თქვენთვის ჩემს ცოდნასა და ნიჭს, დაკვირვებასა და გამოცდილებას, მაშ გაუმარჯოს ჩვენს მუშაობას ამხანაგებო...

მხოლოდ მოხსენების გათავების შემდეგ გამოვერკვიე და დავინახე, რომ მოედანი ცარიელი იყო, გლეხები აქეთ იქით ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვენ და ხმამაღლა იცინოდენ. ჩემსკენ უთითებდენ და ჩურჩულებდენ.

გაკვირვებული ჩამოველ ტრიბუნიდან და ჩემ თავს ვეკითხებოდი: ნეტა რა ვთქვი ისეთი, რომ ვერ გაიგეს?—საწყალი ხალხი, როგორ ჩამორჩენილი და უვიცია, რომ ვერაფერი გაუგია. რაც ჩემთვის მეცნიერულად დამტკიცებული და აშკარაა, ამათში გაოცებასა და ჩურჩულს იწვევს და ბოლომდე არც კი უნდათ მომისმინონ.

ამ ფიქრებში გართულმა ჩაუარე მათ გვერდით.

— უი შენ დედასა შვილო, რა შვილი გა-ა-გი-ჟე-ბი-ი-ხა-არ... მომატირეს უკან დედაკაცებმა.

— ხა[illegible]საგან არის, ხა[illegible]აგან, თვალებზედაც ეტყობა, რომ ახალი შეშლილია, ნეტაი ქალაქში დროზე გაიგონ და უპატრონონ, იძახდენ გლეხები... და ამის შემდეგ საითაც მივდივარ, უკან ამედევნებიან სოფლის ბავშები: ხმამაღლა იძახიან, გიჟი მოდის, გიჟი, ნასწავლი გიჟი მოდის!—ზოგი ქვებს, მესვრის, ზოგი მეჭყანება და გაიძახის:—ყურძენი ბოსტანში დათესეთ, საზამთრო კაკლის ხიდან ჩამოყარეთ, კომბოსტო ალვის ხეზე მოკრიფეთ“...

რასაკვირველია, მე ყურადღებას არ ვაქცევს, ეს მათ უცოდინარობით ემართებათ. აბა ერთი ჩემსავით მიიღონ უმაღლესი განათლება და მაშინ დარწმუნდებიან, რომ მე მათ სასიკეთოზე ველაპარაკები. მანამდე კი მე განვაგრძობ მუშაობას სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად.

თარსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წალვერის ავანჩავანი

წალვერის ნაძვებმა სადერლელი ხმიშალეს და სატარტაროზო გუნებაზე დამაყენეს.

თქვენა გგონიათ, რაიმე ბოროტი ზრახვები არ მაძლევენ მოსვენებას? თქვენც არ მომიკვდეთ!

მე სრულიად არ მინდა ცოდო დავიდო და—რქიანი მატარებელი გადავამტვრიო.

მე ერთი უწყინარი კაცი ვარ,—სადა მაქვს ამდენი დავიდარაბის თავი!

ასეთი საქმე უქრთამოდ და უსართოდ დამითმია იმათთვის, ვისაც ცოლის მზითევს—აყალმაყალი ურჩევნია.

მე მინდა შინაური საუბარი გავმართო აქაურ თავმჯდომარესთან და იმისი პირით „ტარტაროზსაც" გავაცნო, წალვერის ცოტა რამ.

ორშაბათ დილა გათენდა
ძლივს ავდექი ზეზეო.
არ დავიშალე, მივედი
იმ ალმასკომის ბჭეზეო.

მოწიწებით შევაღე კარი და ვხედავ: იატაკზე სდგას მაგიდა,—მაგიდაზე სძევს პორთფელი,—პორთფელზე ალაგია თავმჯდომარის მკლავები—მკლავებზე ამხია თავმჯდომარის თავი და ხვრინავს.

მე მიხვედრილი კაცი ვარ. აქაც ხელათ მივხვდი: ჩვენს თავმჯდომარეს კვირასაც უმუშავია და დაღლილ დაქანცულს ეხლა უნებლიედ ჩასძინებია.

ფეხაკრეფით გამოვედი ისევ და საუბარი გადავდევი შუადღისათვის.

შუადღისას გავიარე—
ეგებ ბედს გაეცინა.
მაგრამ ბეჯით თავმჯდომარეს
ისევ მაგრა ეძინა.

ვიფიქრე: დილას ერთგულად უმუშავნია და ეხლა არაქათ გამოლეულს ისევ ახლად ჩაუთვლემია მეთქი!

ჩემი საუბარი კიდევ გდავსდე საღამოსათვის.

საღამოზეც გავიარე,
იმედებით ვკვებავ ჩემ სულს:
ვგრძნობ რომ—ეხლა მაინც ვნახავ
თავმჯდომარეს გაღვიძებულს.

მაგრამ არა, იგი ისევ იმ მდგომარეობაში იყო, როგორც დავტოვე ჯერ დილით და მერე შუადღისას.

ეხლა კი ცოტა ეჭვი შემეპარა: ვიფიქრე—ბანგი ხომ არავინ დაალევინა მეთქი.

შემეშინდა, ცილი მე არ დამწამონ... ფეხაკრეფით ვაპირებდი მშვიდობით გაცლას, მაგრამ.. მეტის სიფრთხილით სკამს ფეხი წამოვკარ და თავმჯდომარემაც გაახილა თვალი.

მივუძღვენი მდაბალი, მკვიცხლი სალამი.

მივიღე ზარმაცი პასუხი

— უკაცრავად ამხ. თავმჯდომარე, თქვენ ალბად დაღლილი ბრძანდებით.



— შ...ულება შენ.. ცხენი სახლამდე მიმიყვანოს?
— ჩემს ეტლში კაცები სხდებიან, სპილოები კი არა!

— რასაკვირველია!

თანაც პატივცემულმა ამხანაგმა ისე დაამთქნარა, რომ მიკვირს—ყბა არ მოეღრიცა.

— მერე, ამხანაგო, თუ კი ეგრე დაღლილი ბრძანდებით, რატომ სახლში არა გძინავთ?

— ეჰ მეგობარო, სამსახურს და მოვალეობას როგორღა გავუძლევე, სახლში რომ დავიძინო?

მე გუნებაში გავიფიქრე:

აი, ფხიზელი მუშაკი სწორედ ეს ყოფილა- რამდენი კარგი გამიგონია ამ კაცზე და მართლა ღირსიც ყოფილა ქებისა.

— ამხ. თავმჯდომარე, მე თქვენთან სულ მცირე რამეზე მოვედი.

— მითხარით—თუ გრძელი არ არის.

— ჩემი კითხვები ერთობ მოკლეა, თუ თქვენი პასუხი არ იქნება გრძელი.

— მაგნაირი საინტერესო წინადადებით ჩემთან ჯერ არავინ მოსულა. აბა მითხარით, რა გნებავთ.

დავჯექი მკვიდრათ ფამფილა სკამზე და შეუდექი ჩემს ნაძალადევად აკიდებულ მოვალეობას.

— ერთი მითხარით გეთაყვა, რა კეთდება ამ თქვენ სამფლობელოში?

— ე. ი. წალვერში?

— დიახ,

— არაფერი-

— როგორ? თქვენ საიდან იცით ჩემი თანამშრომლობა „ტარტაროზში", რომ ეგრე ხუმრობით მიპასუხებთ.

— მე ხუმრობა მიყვარს!

— არა ამხანაგო, მართლაც მეც ძალიან კარგათ ვხედავ, რომ არაფერი არ კეთდება, მაგრამ...

— მაგრამ, მიზეზი ვერ აგიხსნიათ?

— დიახ, სწორედ მიმიხვდით!

— ეხლავე მოგახსენებთ.

— თქვენ ხომ გახსოვთ ამხანაგო, „რეჟიმ ეკონომიის" კამპანია?

— მაგონდება.

— დიახ, ერთი-ორჯერ დამიბეჭდეს რაღაცა გაზეთში,—ერთი ორ დღეს დააყენეს უშველებელი ქარიშ-

ხალი და მერე ყველაფერი მიავიწყდათ. ეხლა თითქმის აღარავის ახსოვს, თუ რა არის „რეჟიმ ეკონომია“, მე კი საუცხოვოდ მახსოვს იგი მთელი სიგრძე-სიგანით.

ზოგიერთმა ძალიან ბრუნდეთ, ცალმხრივად და ნაწილობრივად გაიგო „რეჟიმ ეკონომია“, იმათ ეგონათ, მარტო ფულებს უნდა დაზოგვაო, მაგრამ სცდებიან, ყაირათი ყოველნაირად არის საჭირო.

ქონებრივათ, ფიზიკურად და სულიერადაც, ამიტომ ჩვენ.—

არცა ვხარჯავთ

არცა ვმუშაობთ

და

არცა ვფიქრობთ.

მე ყელში რაღაც მომედო, უმნოდ ვახველებ.

— იცი არ ამხანაგო, მაინც საჭიროა ზოგიერთი ახსნა-განმარტება!

— მკითხეთ და მეც გიპასუხებთ.

—...ამხანაგო, აი, მაგალითად ბალლინჯოების შესახებ...

ყველა მოაგარაკენი სჩივიან, რომ ბალლინჯოებმა ლამის შესჭამონ. რასაც ყოველდღე ცოდვითა და წვალებით მატულობენ, იმას ბალლინჯოები აკლებენ. არავითარი სანიტარული ზედამხედველობა არ არის სახლებზე, არც დეზინფექცია, არც სხვა რამ სისუფთავე...

— რაო ამხანაგო, თქვენ ხომ არ გინდათ, რომ ჩვენ ბალლინჯოებს დაუწყოთ დევნა? როგორ, ამდენ შავრაზმელებსა და კონტრ-რევოლიუციონერებს თავი მივანებოთ და ბალლინჯოებს გამოვეკიდოთ?

კარგია შენმა მზემ!

ეგეც არ იყოს, ეხლა ხომ საჭიროა მოქალაქეთა გაწრთვნა ბრძოლაში— ეს კი საუკეთესო საშუალებაა, რომ ღირსეულად გაიწვრთნან მოქალაქენი და ასე მომზადებული შეხვდენ მომავალ ომის საფრთხეს, რომელსაც თავზე გვახვევს ბურჟუაზია. მაშ ძირს ყოველგვარი დეზინფექცია და სხვა!

მე აღტაცებაში ვარ თავმჯდომარის ასეთი დასაბუთებით და განვაგრძობ:

— ამხ. თავმჯდომარე, არცერთ ბილიკს რომ არ აკეთებთ ტყეში— ამას რაღათი დაასაბუთებთ.

— მაგაზე ადვილი რა არის? ბილიკები რომ გავიყვანოთ ტყეებში, იცით მაშინ რა მოხდება? ყველა მოაგარაკე დაიწყებს წალმა-უკუღმა ხეტიალს და რასაც ასე წვალებით მატულობენ, ამ ხეტიალში დააკლდებათ. ამასთანავე ხომ იცით, ტყე სხვანაირ გუნებაზე აყენებს ადამიანს: ნაძვის თავბრუს დამხვევი სუნი, მწვანე ბალახი, მარტოობა... ყველაფერი ეს არა სასიამოვნოდ აუშლის სალერღელს და ზნეობაც სულერთიან წაირყვნება. ამიტომ აღარ გაგვყავს არავითარი გზა და ბილიკები.

— დიდებულია, საუცხოვოა, ამხ. თავმჯდომარე, მაგრამ ამას როგორ-

# ფიქრები რადიო-მიმღებთან




— რაც რომ ღმერთს მოუცია კი არა, რასაც არ მოუცია, იმას გაგატნევ, თუ ამ სატანჯავს ამაშორებ!

ლა აგვიხსნით, რომ უბრალო ფიცრებიც კი არ გინდათ დააკრათ სასეირნო ადგილებში, რომ ხალხი ჩამოსხდეს.

— ამხანაგო, ამხანაგო, ამ ყაირათის დროს როგორ უნდა დავხარჯოთ ფიცრებზე ფული, როცა მიწაზე ჯდომაც საუცხოვოდ შეიძლება... ჯერ ერთი, სკამი შეიძლება გადაბრუნდეს, გატყდეს და მასზე მჯდომიც წაიქცეს. მიწა კი არც გატყდება და არც გადაბრუნდება.

ამიტომ ის ყოვლად საიმედოა დასაჯდომათ.

— რომ გაცივდენ?

— თქვენგან არ მიკვირს, ვინც მიწაზე ჯდომით გაცივდება, ის არც ყოფილა სასიცოცხლო!

— მაგრამ ამაზე რაღას მეტყვით, რომ აქამდე ერთი უბრალო აბანოც კი არ მოიპოვება მთელ წაღვერში?

— აბა ეგ რა საკითხავია, თუ ძმა ხარ, ქალაქიდან წაღვერში იმიტომ მიდიხართ, რომ გაგრილდეთ და აქ ცხელი აბანო გაგიმართოთ? სად გაგონილა, ცივი წყალი კი, აგერ გენაცვა, რამდენიც გნებავთ—შუა წაღვერში მოჩხრიალებს.

— მაგ პასუხითაც მე აღტაცებული ვარ, მაგრამ იმას როგორღა ახსნით, რომ წაღვერში სრულიად არ იწუხებთ თავს ქუჩების განათებისათვის?

— ამხანაგო, თქვენ თითონ იფიქრეთ, ქუჩები რომ გავანათოთ, ჯერ ერთი ზედმეტი ფუფუნებაა, მერეა და მთელ ღამეს აღარ მოისვენებენ მოაგარაკენი და სულ სეირნობას მოუნდებიან. ეხლა კი იძულებული არიან დაბინდებისთანავე ჩაიკეტონ სახლში და ტკბილ ძილს მიეცენ.

— ამხანაგო, რა საუცხოვოდ ასაბუთებთ ყოველ თქვენ უმოქმედობას, პირდაპირ სანიმუშოა!

ამხ. თავმჯდომარე კმაყოფილებით გასწორდა სკამზე.

— დიახ, მე ასე ვირჯები, ჩვენი საკურორტო სამმართველო კი ერთხელაც არ შეიხედავს აქ და უბრალო მადლობასაც არ მაღირსებენ.

ეხ, რას იზამ, ასეთი ბიუროკრატები არიან მოკალათებული ბევრ ჩვენ დაწესებულებაში! იმათ კაი რკინის ცოცხი სჭირდებათ.

ამხანაგო, ეგებ თქვენ მაინც გაიმეტოთ ერთი ორი სიტყვა-გაზეთში.

— ვეცდები, უეჭველად ვეცდები.

ამ დაპირებით გავშორდი ამხ. თავმჯდომარეს და მას შემდეგ...

ერთი კითხვა გადმეკიდა

ის გამიხდა ეხლე საქმე;

ამის მსგავსი ალმასკომი

კიდევ არის ნეტა სადმე?

ნადირი.

# ორი „პრიმერი“

იცი არს გებნები? ეს ქვეყანა იზმენჩივი რამეა, დროება ჭრელია, ჰამაც ხალხი საზანივით ტრიალებს: ძმა-კაცობა, პურმარილი, ნათელ-მირონი, ჯიგრიანი სიყვარული-რამე. ყველაფერი ნულია, ფუსტიუკია—ტყუილია მეთქი! ახარ, გებნები, საკუთარ ნაბლუდენიით გამამიცდია რალა, ლიჩნი ოპიტი მიქნია ჰიმ-არევ, ქუ-არევ, დრუსტემ ასუმგინდ დაიჯერე გინდა ნუ!..

ვთქოთ, შეი ჰარიფოფ: ნათქომი გჯერა, ფიცსა და პირობას ენდობი, დავერიას შვრები,—ჰუზურში ფიქრობ თუ ყველაფერი მართალია და ზოგთან ფულს ხარჯამ, ზოგთან სიტყვას, ზოგთან მირონსა და რამეს.

ჰამა ერთი რამე იყოს, მორჩა: პუპუზ! ღალატი და უპირობა. ფულ ზე ატკაზი, ძმა-კაცობის გერგილის და ფირის დაკარგვა, ჰამფსონობის დავიწყება ნეპრემენია, სლოვომ—წინიდან რომ კაცი გიცინის,—არ ენდო,—უკანიდან ისემეს გიშვრება—გლალატობს მეთქი მააშ?!

ორი პრიმერი უნდა გითხრა იმაზე, თუ როგორ ზაჰრუმალი დროება დადგა, როგორ ბემურაზი ხალხი გახდა და ჰუზუში მეც როგორი აბიდა ვამე ამისგნითა:

ეხლახან ჰაკარაკათ ცოტა პური და შაქარი არ შეცოტავდა? მთელი ეს ჩვენი ჰამქრის ხალხი ფეხზე დადგა; რაც რომ პრავიანტი იყო, ყველაფერი იყიდეს და სულ გუფეთგარდიროზები და დუხსპლანი კრაოტები ჩატიკნეს: ასმა შეიძლება დროება გადაბრუნდეს, არც შაქარი, არც ისემე ჩვენთვის აღარ გამოუშონო—პროდუქტებიო რალა და ჯანც მაშინ არ ვეძებოთ, ჰაზირ ახლავე ზაპასი ვქნათო?

ჰაიჰარათ მთელი ბაზრის საქონელი გამოლიეს.

ჩემი კეკელა მებნება თუ-

— საქულჯან, შე ბემურაზო, ახარ აქ მუხის თავივით რო დამჯდარხარ, ვერა ხედამ ქვეყანა დოირანში ვარდება? ადექი რალა, შენც ზამთრისთვის ისმე ქენი, ზაპასი შაინახე პური რამე იშოვე და მაიტანეო.—რა ვიცი, კაცნი ვართ, შეიძლება ვაენი ჩავარდეს და პრავიანტი გამაილიოსო.

— ვებნები, დედაკაცო, მაგ სარსაღ ხალხს ყურს ნუ უგდებ, რის ვაენი, რის ბოზსაში—რუსკი რე-სე-ფე-სერს პური გამაელევა? იმისას ქვეყანა სჭამს და რალა ჩვენ დავრჩებით მშივრები მეთქი?

საქმეში ხარ? თქო მორჩა! გაჯიუტდა და ახში მეც ამიყოლია.

რეშენია ვქენი გორში წავიდე და იქ კარგი ხორბალი ვიყიდო. ჰამაც, სურამში დაჩაზე ერთი ნათლი დედა მყავს, ფული ემართა. ვთქვი თუ იქით გავიელი, ჰამ პრავეტრენიას ვიზამ და აჰამაც იმ ფულსაც გამოვართმევ და რამეებს ვიყიდი მეთქი.

შაფათ დღეს დიდი ვაინაჩრობით ვიყიდე ერთი ბილეთი და როგორც იყო, პოეზშიც დავჯექი, მაგრამ რის ჩავჯექ? ჩავჯექ კი არა, ჩამდვეს ხალხი რომ არ ახურხურდა? ისე გამიტაცეს და სადღაც კუნჭულში მიმაგდეს გეგონება აბანოს ბოხჩააო მააშ! მთელი რაგატი ხალხი მოდიოდა დაჩებზე—თავის ნუგბარ ცოლშვილში.

იმ დღეს სურამში თვალნათლივ ჩაველ და ნათლიდედაც მალე ვნახე.

— ვა, ჩემ თვალებს, რა ოქროს სტუმარი მოხველი ნათლიჯახ, ალბათ დაჩნათ გამოგიგულავნიაო,—არა რომ კარქი პატივისცემა გინდა, ჰამა ა. დასაწვავში პურის ოჩერედი გაჩნდა და ოჩერედში დგომით მუცლის ქონი დაგიდნება, აქ რალას მაიმატეფო?

— ვა, აქედან უპურობისგნით გავქცუნდი, იქაც უპურობა მხვდება.. ისე აცუნცრუკებულია რომ ჰა, ნათელმირონს როგორ შევცოდო თორემ ვიტყოდი—კარქი მადიან რამე იყო მეთქი, მააშ! ამ მთისა ვთქვით, იმ ბარისა, ჰაი ფლანი, ჰაი ფსტანი და ბოლოს როგორც იყო გაუბედე:

— ნათლიდედ, ჩემამზე, არ შეგაწუხდებით, ჰამა ძალიან მინდა და თქვენზე რომ ბუჩულია, პაჟალუსტა მამეცი მეთქი.

— ჯერ ცოტა იბოდიშა და მერე იცი რა მითხრა?

— ახარ მაგისთანა წუწურაქობას თავი დაანებე, რაღაცა ორი ჩერვონცი გამომყოლია—იმის გამობრას ველარ მოვახერხებო პრიმერნათ ერთი რომ გაკოცო, ქვით ვიქნებითო ჰააა-ჰა, რა ძალიან ზაჰლა მიგაქვ'ო და თან ხელს მიცაცუნეფს!

ვა, გულში თითქოს ბარაბანი დაუკრესო ,დაგ-დუგ-დაგ-დუგ, ტვინი მერევა ჰელეთ-მელეთი მამდის და თან გულში ჩაბლუჯულ ნათლიდედას ვებნები:

— ნათლიდედ, რა შვრები, ღმერთი გიწყენს ნათელმირონი აღარა გწაამს“.

იცინის:—გაჩუჩუნდი,რა რა დროს მირონი და ზიარებააო, ჰამაც რის მირონი? ჩვენ ზაქსის ნათესავები ვართ, რომელი ფეთხაინისჭალები აგვინთია და ტერტერას ჯვრისთვის გვიკოცნაო? გამაპუსტიაკ. . ბოლოს ისე წავიდა საქმე, რომ იმის მაგივრათ პურის ოჩერედშიც ჩავდექი და იმ ბუჩულზედაც ხელი ავიღე.

ეს ერთი პრიმერი იმისი, რომ ნათელ-მირონმა თავისი ძალა და ლაზათი დაკარგა!

ახლა ძმა-კაცობაზე გითხრა:

მეორე დღეს, სანამ პოეზდი წამოვიდოდა, ბულვარზე ვიცდი. ერთიც ვნახოთ, ჰაკარაკათ სამაზოდნი სასწორთან არ მიველ? ყველანი იწონებიან და რამტოლი გირვანქაც რომ გამოდიან, ეს სასწორი იმის დაწერილ ბილეთებს უგდებს. აწონვა შაურია. ბოლოს მეც შავდექი და ავიწონე... წკატ და გადმოვარდა ბილეთი ხუთი ფუთი და ათი გირვანქა გამოველ—ტანისაამოსით, რამით... ვიძახი—აფსუს, დავაენი დროის 6 ფუთს ვიწონიდი და რამტოლი დამიკლია მეთქი. ჩავიდეს ეს წონის ბილეთი ჯიბეში და წამოველი.

გორის სტანციაზე ძმა-კაცები არ შამხვდენ? ძველი პურმარილის ხალხი, ჯეჰელობის ჰამფსონები, შეითანი ბიჭები იყვენ; ერთად დროება გაგვიტარებია, ძველი შნო და მარიფათი გვახსომდა.

ბალის ბოლოს წაველით, ლიახვის პირზე კარქი პურმარილი ვჭამეთ და ჰამაც ბევრი რამეები ვთქვით. ჰაკარაკათ ჩემი ნათლიდედის ამბავი პადრობნათ არ ჩაუკენჭე? ბოლოს კი იმ აწონვის აქაიაც ჩამოვაგდე და ჰამაც ბილეთი ვაჩვენე თუ ძმებოჯან. აი, ნახეთ როგორ მსუბუქი გავმხდარვარ მეთქი!

ერთიც ვნახოთ ეს ქოჩ-ქოჩა გიგუა არ წამოხტა?

— გამიშვით მაგის საფლავიც მიჭამია. ჯიგარში ბებუთი უნდა დავარ‍ყაო. გამოჩნდა, რომ ის ჩემი ნათლიდედა ქვრივი შუშანა იმის გულის ნუგბარი ყოფილა და სწყენია.

— შე ბაბაყულო ლუპუსტაცო, როგორ გაბედე იმასთან საქმის დაჭერა და ნათელ-მირონის გატეხვაო?

— ვებნები ძმაო, შენ ხატის ღვინო თუ დაგილევია, ის მითხარი—მე რა მიქნია? თუ საჩნელი [illegible], იმ შუ[illegible]ამ ნაბაროტ მე მიყო მეთქი... ბან-ჩუნეს, უჯათობის ვირზე შაჯდა და იძახის:

— სულერთია, გორიდან უტყეპავს არ გაგიშვეფო.

როცა ის ველარ დავაწყნარეთ, ძმა-კაცებმა მირჩიეს—ადექი, საქულჯან გაეცალე, ხათაში არ ჩავარდეო.. ავდექი,—ახში შუადღე იყო და პირდაპირ ყაფანზე წაველ. მზის გადახრამდის იქ ვიყავ, რამეები ვიყიდე და ის არის წამოსვლას ვაპირობ, რომ პუპუზ, ეს ჩემი ძმა-კაცები ქეფით და დროს ტარებით პირდაპირ ყაფანზე მოვიდენ. ყველა გაჯვარდნილი იყო, დამიწყეს ყალ-მაყალი, შარი მამდვეს:

— გიგუას შუშანასთან ხუთი გირვანქა ხიზალალა პადარკათ მიჰქონდაო, შენ მოგიპარია და გიჭამიაო ამის სვიდეტლებიცა გვყავსო. ეს გიგუა კი ჰა, აღრენილ ბეხრეკივით მიყურებს და ჰამ ყარამანდულის ახალოხს იმკლავებს. საცემრად იწევს ჩემზედა მააშ?...

ვეუბნები:—ძმებოჯან, ნამუსი არა გაქვთ, ძმობა და პურმარილი არა გწამთ, მაგისთანა შარს რო მდებთ, პირ-

# სურამის სიმშვენიერენი



**ხოლერა** მეგონა აქ მაინც ვიშოვიდი თავშესაფარს, მაგრამ ჩემთვისაც ძნელია აქ გაძლება!

ში როგორღა მიყურებთ მეთქი?.. საქმეში ხარ, ვინ დაგიჯერა.

— რის ძმობა, რის მარიფათი, ჩქარა ხიზილალა ჩამოდიო!.. ფიცით დავიღალე, ჰამა ჰაკარაკები გახდენ და არ დაიჯერეს... ბოლოს გიგუა აფთარივით მომვარდა, ხელში ციმციმ ამოყვანა და იძახის:

— შენი პასლედნი წონა ხუთი ფუთი და ათი გირვანქა არის, ახლავე ყაფანზე დაგდეფ. აგწონი, თუ ხუთი გირვანქით მეტი მოხვიდე, მაშინ ხიზალალა შენი შეჭმულია და სიქას გავაცლიო!.. სუყველამ მაიწონა—აფერუმ გიგოჯან, რა ტალანტლივი ნიჭი გქონიაო! უკან გამამყვენ, ყეენობა გააკეთეს, ხალხის მახსარაი გამხადეს, ჩემი ყვირილი საყვედური, ხვწნა არავინ შაისმინა...

ყაფანზე დამაგდო და მწონავს ეძახის ჩქარა ჩემ ჩოთში აწონე ეს ბაზაყული და თუ ხუთ ფუთზე და ათ გირვანქაზ მეტი გამოვიდეს მითხარი!..

— ხუთი ფუთის გირები არამაქვს, ჰამა თუ არ გეწყინებათ დღეს ერთი გაფუფქული ღორი მიყიდნია, სწორეთ ხუთი ფუთი და ათი გირვანქა და გირებ·ს მაგივრათ იმას დაუდეფო. ძალიან მოეწონათ ყველას, ჰამ წონასაც გავიგებთ, ჰამაც მაზალო ქნებაო, ახია მაგ ქუნდზე სწორეთ ღორულათ მაიქცა და ღორთან უნდა ავწონოთო.

დამდევს. სასწორის მეორე ხარეს ის ღორი დამიდვეს. მე დავძალე დაბლა დავიწიე ღორს ხუთ გირვანქიანი გირი დაუდვეს.

— კაკრაზ ხუთი ფუთი და ხუთმეტი გირვანქააო იძახის მწონავი. ეს რო თქო, გიგუამ გადმამათრია და ნაბადივით ფეხქვეშ ჩამიგდო. დამიწყეს ცემა-ტყეპა, დაცინვა მუქარა ჩქარა ჩამოდი ხიზილალაო.

— ვეუნები ძმებოჯან, მე რომელი ორაგული მნახეთ, რომ ხიზალალა გავაჩინო?—აქ აშიპკაა, ნედარაზუმენია, გიგუას ლიჩნი სიმტერესი აქვს ჩემთან და იმიტომ ასე აბიდას მიშვრება, თქვენ ხომ ძმა-კაცები ხართ, რათ მიშვრებით მეთქი?

არავინ ყური არ მიგდო და ყისმათზე მილიციონს, რომ არ მოესწრო, ცოცხალს ველარ მნახამდით.

ასე ნატყეპი და აბიდა-ნაჭამი იმავე ღამეს გამოვიპარე და ჩემი ნაყიდი რამეებიც იქ დარჩა. ზარალი ვნახე.

ჰამა ზარალს ვინა ჩივის, ან ტყეპა ვის ახსომს? შენ გული თქვი, გული მტკივა, რომ ძმა-კაცობა ასე გაფალშივდა და გიგუას შარის გამო, ღორის გვერდით ამწონეს.

აი, ესეც მეორე პრიმერი იმისი, რომ ძმობა და პურმარილი დაიკარგა ქვეყანაზე.

ფარსადან.

# რადიო-კონცერტი სოფლად

— ქა, აბა წამო, რადიონმა უნდა ილაპარაკოსო.

— რას ამბობ დედაკაცო! ქალაქიდან არავინაც არ მოსულა, ვინ უნდა ილაპარაკოს! ეხლა იქ არ ვიყავ, კანცელარიაში!

— არა ქა, ქალაქიდან უნდა ილაპარაკოს და კიდეც იმღეროსო.

— ჰე—ჰე, პა-პა-პა! ძაან ვირული ხმა კი ჰქონია ი ვაღაცა რიდიონია, რო ქალაქიდან აქამდე გაუწიოს... ჩვენი ფუხრუხო მელორე სამი გუთნის გაშლაზე ვერ უწევს ხმასა და იმას რა უდევ იგეთი ყელში, რო აქამდე გამოუწიოს!

— რა ვიცი ქა, აბა წავიდეთ და ვნახოთ

წავიდენ.

რადიომ გამოაცხადა: ეს და ეს კონცერტი იქნებაო.

— ჰე—ჰეი, რა ყოფილა კაცო: იგრე ისმის ასე გონია აქ, ბალკონზე იჯდეს.

— უი ქა, დაიწვი, დაიწვი, უყურე როგორა მღერის ქალის ხმაა, ი ჯანმკვდარი შიგ ჩაფუთქულა!

— აბა ე ვიღაა, რა დიაკვნის ჩოკინასავით უწევს! ძაან რადიონა არა ყოფილა!

დაუკრა ორკესტრმა.

— პესნა შაცვალეს, პესნა.

— უი ცეცხლი კი ჩაგივარდეს მაგ ჯანში! რა ლამაზად აწკრიალებ ქა ხმას ჩვენი ხრიწიანი მამალივით.

— აბა ი ვიღაა, რა ბოყი ხმითა როყინობს.

— ღოროტოტო უჭირავს, ადამიანო პირში.

— ღოროტოტო კი არა, ასე გონია ჩვენი შაქარა კამეჩი ეჯდეს ყარყატოში.

— წეროების გაბმულასავით ხან რო გაჰწყვეტავენ და ხან ისევ გააბავენ, ეჰე—ჰე—ჰე—ჰე! რას არ მაიგონებს ხალხი!

— ხალხი კი არა, მე ჩემი თვალითა ვნახე, ჩვენებიანთ დონყაზამ გააკეთა.

— კარგია ერთი, მამაგიცხონდა და! თუ ეგ დონყაზას გამოგონილია, მე აღარა მცოდნია—რა!

— რა ვიცი ქა, ის კი იჩაჩხებოდა ამ კანცელარიის კრამიტებზე და! რაღაცა ძაფებს აბამდა...

— დაიცა ერთი, ყური დაუგდო.

რადიო ლაპარაკობდა ბეთხოვენის მუსიკის შესახებ.

— აბა ე ფეთხიანი ვიღა.

— არ გეყურება ქა: მუზიკა დაწერაო.

— რას ამბობ ადამიანო! ყველაფრის დაწერა გამიგია და ბუზიკის დაწერა კი... რა ვიცი, რა ვიცი—ძაან კი გაეშმაკდა ე ხალხი და. რა სიტყვის პასუხია და არ შაიძლება ი ვიღაცაა, რო ლაპარაკობს უთხრა რამე აქედან?

— რა უნდა უთხრა ბიჭო!

— კაცო, ერთი კვირაა ჩვენი ჩურჩუტა დაბახი გავგზავნე ქალაქში ქირაზე და აქამდე არ მოსულა, აბა ერთი ჩაჰძახე, მანდ ხო არ არი თქო!

— შენ ნუ მომიკვდები მამაშენიც სულ რადიონზე დაბერდა! დაბალას იქ რა უნდა! აქედან არ შეიძლება ლაპარაკი.

— რატომაო მითომ.

— იმიტომაო, რომა...

— გაჩუმდით ქა, გაჩუმდით, მღერიან.

ვიღაცა გადმოდგა და გამოაცხადა:

— ეხლა მოისმენთ მოსკოვის კონცერტს.

— აი დიდება შენდა ღმერთო! მაშ ეხლა მოსკოვიდან ისმის ხმა? არა, მედაჩემმა ღმერთმა, არ დავიჯერებ. ან თქვენა ხართ ქაჯები, ან მე. სამი ათასი ვერსის მანძილზე თუ ეგრე კარგა მიაწვდენს კაცი ხმას, არა მგონია, ეგრე რო იყოს რკინის გზის ბილეთი არ გაძვირდებოდა.

— ძმობილო, არ შეიძლება ხურჯინი გადავკიდო ე რადიონასა და გავატანო მოსკოვში! მოყვარე მყავს იქა!

— ეხლა არა, მაგრამ მალე მაგასაც გამოიგონებენ.

— მაშ რაკი აგრეა, წავიდეთ და დავამზადოთ ხურჯინები: თითოში ათი ვედრო არაყი, მანდაც ხომ ვეღარ დაგვიჭერენ გზაში!

ფეშანგი.

# ძაღლები აგარაკზე

აგარაკზე, ცხადია, კაცს მოსვენება უნდა.

ამ დებულებას მტკიცება არ ესაჭიროება.

ისიც ცხადია, რომ ძაღლი შინაური ცხოველია და მან ყეფა იცის.

სწორედ ამ ყეფაზეა საქმე.

აგარაკ ბახმაროზე წელს რვა ათასი კაცი მოაგარაკეა და ათასი ძაღლი, ასე რომ, თითო მოაგარაკეზე ერთი ძაღლის მერვედი მოდის, ანუ თითო ძაღლს უწევს რვა მოაგარაკე.

— რა უყოთ მერე? — იტყვის ვინმე.

რა უნდა უყო, — არაფერი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთი მოაგარაკე მის წილხვდომილ ძაღლის მერვედს ვერ შეჭამს (მოგეხსენებათ, აგარაკზე გულ აზიზი ხალხია), მაგრამ, ერთი ძაღლი (ისიც ეგრეთწოდებული **წუნკალი ძაღლი**) მთელი საავარაკო სეზონის განმავლობაში თავისუფლად შეჭამს მის ხვედრ რვა მოაგარაკეს. მით უმეტეს, რომ ბახმაროში სურსათ - სანოვაგე არა თუ ძაღლებისთვის, — მოაგარაკეთათვისაც არ არის საკმარისი, რის გამოც ძაღლები მეტად დამშეულა.

თითო სახლს ხუთი ძაღლი უწევს, და ისინიც სახლების ქვეშ არიან მოკალათებული. კაი ვაჟკაცი ხარ და ღამით ცოტა შეგვიანებული ბინაზე დაბრუნდები. ჯერ გამოგედავება მეხუთე, მერვე.

სულ რაღაც ორიოდე წუთის განმავლობაში მოაგარაკეზე იერიშს მიიტანს ხუთმეტიოდე ძაღლი.

კბენას რომ თავი დავანებოთ, მარტო შიშით დააკლდება კაცს აგარაკზე შემატებული ჯანი და შეიძლება ძველი ამოტანილიც თან მიაყოლოს.

ბახმაროში ყიდიან გრძელ ნაძვის ჯოხებს, მოაგარაკე უჯოხოთ წარმოუდგენელია.

ეს ჯოხები დასაბიჯებლადაცვარგა და თან ძაღლების მოსაგერებლადაც გამოდგება. მაგრამ ამ ბოლო დროს, მწარე გამოცდილებამ ბევრი დაარწმუნა, რომ ნაძვის ჯოხები ბზის, ან სხვა მაგარი ხის კეტებით უნდა შეიცვალოს, რადგანაც ნაძვის ჯოხი სათუთია და ერთ წუნკალ ძაღლს რომ შემოკრა, სამათ გატყდება.

რაღა პასუხი უნდა გასცე დანარჩენ ძაღლებს?..

ძაღლების ორგანიზაცია იმდენათ მაგარია, რომ აგარაკის ადმინისტრაციამაც ვერაფერი მოუხერხა მას. ;

შესამჩნევლად ვითომ მოწამლეს, სამიოდე ძაღლი, მაგრამ ამან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა.

დილით, ადრე, ძაღლის ყეფა გაღვიძებს. დღისით მოაგარაკე დიდი სიფრთხილით უვლის სახლებს შორიდან, რომ თავზე ხელაღებული ძაღლი არ გამოვარდეს, და აყალ-მაყალი არ ასტეხოს.

ნაშუადღევს ძაღლები მშიერ მგლებივით დაძრწიან და ნასუფრალს ეძებენ.

საღამოს იწყება გაავთრებული ყეფა და იერიში!

ყეფენ „მიძინილამდე“,!!

ყეფენ და იკბინებიან.

ამბობენ, ბახმაროზე ნაძვის ტყის სანერგეს აშენებენო.

ეს შეცდომაა: პირველ რიგში და ისიც „დაკვრითი წესით“, აქ უნდა გაშენდეს ბზის ხის და როკის სარებიან ტყე, სადაც დამზადდება საიმედო კეტები აქაურ ძაღლების მოსაგერიებლად.

ამას გარდა, უნდა მოხდეს მოაგარაკეთა შეიარაღება და მათი გასამხედროება, რომ მათ შესძლონ ძაღლებისთვის შესაფერი პასუხის გაცემა.

მანამ კი, იქეიფეთ ყოველი ჯიშის ძაღლებო!

გ. ა—ხან.




ჩვეულებრივი ხურაოი საქართველოს რკინისგზის პატარა სადგურებზე.

# აფსუს.

ასეთი ხათა იქნება,—მამალგა ჩემი სირნაუშა ტერმიკიჩას ჯოხივით და აღარ მამშორდა!

— „გინდა თუ არა გორში უნდა წამიყვანო, დედაჩემის ნახვა მინდაო“.

ვებნები, დედაკაცო, რა დროს გორია, ემანდ რამე ნესჩასტიას არ გადავეკიდოთ. ვერა ხედავ, კრუშენია—კრუშენიაზე არის და ერთიც ვნახოთ ჩვენი პოეზდიც რამეს დაეტაკოს და ლავაშივით მიგვაკრას ვაგონის კედლებს! მაშინ?

ბევრი ველაპარაკე, ბევრი ვეხვეწე, მაგრამ, ბანჩუნეს,—შაჯდა უკუდო ვირზე და აღარ გადმოხტა.

-- „არა, აბეზატენლად უნდა წავიდოთო“!

ვიფიქრე ამის გაჯავრება ხელს არ მომცემს. გადავიწერე პირჯვარი, შავკარი ბარგი, დაუძახე ფაიტონს და წაველით გორისაკენ...

ვაგზალში ნასილჩიკს ბილეთი ავაღებინე, ჩავჯექით პოეზდში და მივდივართ. გული შიშისაგან ლამის ამოვარდეს. მივდივართ, მაგრამ შიშისგან სული მეპარება; ვა, მოდი და ნუ შეგეშინება. კაცო, დედაკაცს ხუთმეტი წელი წადი ვეარშიყებოდი, როგორც იქნა ხელში ჩავიგდე და ეხლა რომ იმას რამე მოუვიდეს, ხომ გავგიჟდი კაცი!

ხუმრობა საქმეა? იცით რა დედაკაცია? ვა, რომ არ იცით! აფსუს. ნუყლია, ალჯანანადია, მარმალადია, შოკალადია ქრისტეს მადლმა. ვა, ეე, ჭკვაზე მოდით! თქვენ ვინმე პროსტოი არგეგონოთ. ჩვენ ქორწილში ოთხიდასტა ზურნა უკრავდა. ორი კვირა ბეზასტანოვკად ვაკრევინე. ჯერ ისე ხომ იმსისქო იყო, რომ საპიორნი ბატალიონის კაზარმა გეგონებოდა, მაგრამ ეხლა, ამ ორსულობის დროს ნამდვილი „ტიტანიკი“ გახდა, რაღა.

ჩავედით როგორც იყო მშვიდობიანათ მცხეთაში, იქ სირანუშა ამიტყდა თუ: „პერაშკები მიყიდეო“. ჩავარდი, გამოვართვი პერაშკები და მოვდივარ. ვნახოთ ვიღაცა მეძახის: „ვა, გეურქ სედრაკიჩ ნეუჟელი გამარჯობა არ გეკადრებაო“. „მივიხედე და ვნახოთ ეს ჩვენი ვირდავითაანთ კეკელა, აი, ჩვენი ძირგავარდნილაანთ პეტრუზას რძალი, რაღა. დამდგომია წინა და ისეთ ნაირად მიშვრება თვალსა, რომ სულ ჟრუანტელმა დამიარა. მეც ღვთის წინაშე ძალიან წუწკი რამე ვარ ქალებთან და ხელის მოფათურებაც მიყვარს, რაც მართალია-მართალია. მივარდი მამენტალათ, ჩამოვართვი ხელი, ხელის გულიც გამოფხანე რიგიანად და ვტორიოი ზვანოკიც დაუკრეს. ერთი პრაშჩალნათ კიდევ ჩამოვართვი ხელი კეკელას, მაგრამ მოუჭირე ხელი და ერთი ნიმუტი ვაქნიე და ვაჯანჯღარე. ამ ჩემ ქნევაში პოეზდი დაიძრა და მეც გავვარდი და ნა-

მილიციას უფლება არა აქვს საგუშაგოს მოშორდეს



— მიშველეთ, მკლავენ!
— რამენაირად ჩემამდი მოჩოჩდი... მანდ რომ მოვიდ, მეც ხლაფორთში ჩავვარდები.

ხადუ ერთი ვაგონით სირანუშას წინ ჩავჯექი. მინდა გადავიდე უკან, რომ ჩემი სირანუშა მოვძებნო, მაგრამ ვინ გიშვებს. მეცა კანდუხტორი და მეებნება: „პრატაკოლი უნდა შევაყენო, რომ ნახადუ შეჯექიო: „ვებნები: კაცო, გამიშვი ჩემ სირანუშასთან და შენ რამდენიც გინდა იმდენი შეაყენე მეთქი.

ამ ჩხუბში რომა ვართ, ერთიც ვნახოთ, რაღაცამ ბრაგვანი მოადინა. ვიფიქრე ნამდვილად კრუშენია არის მეთქი და შიშით ვაგონის პლაშჩატკაზე დავეტყლაპე.

ვწევარ, და უყურებ თუ როდის გამსრესავს მეთქი. შიშით მთელი ქილკები ბალდადურსა თამაშობენ. უყურე, უყურე და რომ არაფერმა გამსრისა, ავდექი ზევით. მინდა გადავიდე სირანუშასთან, მაგრამ რა დაინახა ჩემმა თვალებმა? თურმე პოეზდი გაწყვეტილა, მე წინ მიმაქროლებს და ჩემ სირანუშას ვაგონი კი მოწყვეტილი სდგას და ერთი ალიაქოთი აქვთ პასაჟირებს.

სირანუშა გამოსულა პლაშჩატკაზე, გაუწეწია თმები და ღრიალებს. თანაც რაღაცას მიქნევს და მანიშნებს. მეც დაუწყე აქედან ქნევა, მაგრამ ვატყობ, რომ მე და სირანუშა თანდათან ვშორდებით ერთმანეთს. ვშორდებით რაღა, აშკარად ვშორდებით. ვეცი კანდუქტორსა და დავიწყე ღრიალი. როგორც იყო გააჩერეს პოეზდი. სირანუშა იქით იფაფრება და მე აქეთ ვღრიალებ. ბოლოს როგორც იყო მიგვატყუპეს სირანუშას ვაგონს, გადავარდი ხელათ, ვეცი სირანუშას. მაგრამ არ დავინახე, სირანუშას შიშით გული წასვლია, დასევია ეს ამოდენა პასაჟირები და ვინც არ გინდა უფათურებენ ხელებს და და მასაჟს უკეთებს,— ვითომ მოვაბრუნოთო.

რომ შავხედე ელდა მეცა. ამ ჩემ სანუქ დედაკაცს ისე უსომენ ხელებს ეს ვიღაცა ბიჭები, რომ თითქოს ჯვარი იმათ დაეწეროთ სირანუშაზე და მე ტერტერა, ან მაყარი ვყოფილიყო. ვა, ეე, დედაკაცისათვის უბრალოდ ხელი არ ამისვია, რომ ბეწვი არ შაეხაროს მეთქი და ესენი კი ცხენის საურველივით უხახუნებენ ჩემ სირანუშას. ვეცი ხელათ მივყარ-მოვყარე ხალხი. ლოყაზე აუსვი, ცხვირი მოუქყლიტე და როგორც იყო გონს მოვიყვანე. საწყალმა სირანუშამ ძლივს წამოილუღლუღა:

— „არიქა გეურქ, საკვაიაჟში წამლები მაქვს და მაყლაპეო“. მეც მამენტალნათ ვაყლაპე, ცოტა დაშოშმინდა. მერე გადავიყვანე წინა ვაგონში და წავედით.

ისეთია საწყალი სირანუშა, რომ დანა პირს არ უხსნის. მერე კაცო, ორსული დედაკაცი, ეს ამოტოლა პრიკლუჩენიები და რაზუმეიცა თუ სავსემ არ მოკვდება, გაბერწდება მაინც. კაცი ღმერთივით ველი ნასლედნიკსა, ნათლობისთვის მეზურნეები ეხლავე დამიქირავებია და სრაზუმ ამისთანა ნესჩასტიას კი წავაწყდი.

ისეთი ვარ, ისეთი ვარ, რომ დანა დამკრა წვეთი სისხლი არ გადმომივა!

როგორც იყო ამასობაში მივაწიეთ გორს. სირანუშამ ყურში მითხრა: „გეურქ მუცელი მტკივაო“. შამოვიკარი ხელი, ვიფიქრე ნამდვილად გაბერწდა და დავიღუპე მეთქი. მიველით გორში, მამენტალნათ ჩავჯექით ფაიტონში და წაველით ჩემ სიდედრთან.

ვიცი, ვიღუპები. პრეჟდევრემენი როდია და ოქროსავით ნასლედნიკი მეღუპება. ხელათ გავარდი და ორი დოხტური და ერთი აკუშერკა მოვიყვანე: დაჯდნენ, გასინჯეს, ისოვეტეს, და სთქვეს: „შიშისაგნ მუცელი გაფუქებია, გეურქაჯან, და რას იზამ მკვდარი დაიბადებაო“. ეს რო გავიგონე, ულვაშის ძირები გამითეთრდა, მაგრამ რაღას ვიზამდი. ვიფიქრე დედაკაცი მაინც გადავარჩინო მეთქი და შევეხვეწე დოხტურებს: წაიღეთ ჩემი სასტაიანია, ოღონდ დედაკაცი გადამირჩინეთ. ამ დროს სირანუშამაც შეიყვირა: „მიშველე გეურქ, მუცელში მჭრის რაღაცაო“. დოხტურებმა მისცეს ნასტავლენია აკუშერკას და წავიდენ. მითხრეს, თუ რამე გაუჭირდეს, დაგვიძახეთო. იყვირა კიდევ სირანუშამ და გადმომხედა. თურმე საწყალი აქამდის ბეზსაზნანიაში ყოფილა შიშით და ეს აკუშერკა რომ დაინახა, გაოცდა და მკითხა: „ეს ვინ არისო“. აკუშერკა მოვიყვანე მეთქი.

— შე ტუტუცო, საამისოდ კი არა მტკივა მუცელი, ისე მტკივაო. ეს რომ გავიგონე, ხელათ გავისტუმრე აკუშერკა. დატრიალდა საწყალი ჩემი სიდედრი და აი თბილი აგურები ფეხებში, აი ეს, აი ის, მაგრამ ბანჩუნეს. რათ უნდა რამე. თურმე იმ ვაგონში, რომ წამალი ვაყლაპე, აშიპკაში მოვსულვარ და სლაბიტელნი აბები მიყლაპებია, საწყალ სირანუშასათვის, ისეთი დღე დაადგა, შენს მტერს!

ეს რა მამივიდა, კაცო! ეს რა ნესჩასტიაში ჩავარდი! არა, ეს რომ ბაზაზხანაში გაიგონ, ხომ მთელი ბაზრის სამასხარაო გავხდი?! გავხდები, მაშ რა ჯანაბა იქნება! აფსუს!

გოგია.

# საზაფხულო გართობა „არტოში“

„თბილისის ბაღში „არტო“ ხშირად
იმართება ჩხუბი და ცემა-ტყეპა“.
(ქრონიკიდან).




ვისაც გინდათ სული შეგრჩეთ მარტო
ერთ საღამოს ინახულეთ „არტო“.

## უსტარი ნატანებიდან

შემოვიარე ეს მხარე,
ვაი ვაგლახი ვიშითა;
ბევრი რამ ვნახე ნანატრი,
ბევრისგან მოვკვდი შიშითა.
ბუფეტის გამგე გავიცან
მე ალექსანდრე ლორია,
თუმცა ტაქსა საჭმელებისა
იქვე გაკრული ორია,
მაგრამ ის იმას არ უმზერს.
გაართვა ყველას ქონია.
სასადილოში შევედი
შიგ დამხვდა ბენდელიანი.
ღვინო მოვთხოვე, მან მასვა
კახურის წვენი წყლიანი.
ასეთი ეშმაკობითა
დახლიც აქვს ბარაქიანი.
ბაზარში გავლა აღარ ღირს
გლოვობს სულ ყველა ვაჭარი,
აქ „ეპო“-ს გაძლიერებამ
მათ დაუკარგა ქანქარი.
სადგურის მეფედ გამხდარა,
ისაკი ქვია სახელი;
შიშისგან ფერი ეცვალოს
ვინც იყოს მისი მნახველი.
ასეთებს, ჩემო ტარტაროზ,
სჭირია შენი ჩანგალი.
ჩამოდი, მისცხე სულყველას
დააწყებინე კანკალი!

ტრიო.

# უჭამლოთ მოჭამლული

წალვერს გავრეკე ოჯახი, ნავახშ - ნასესხი ვალებით,
ქალი და ბავში ყვითლები, ლურჯათ ჩაცვინულ თვა-
ლებით;
იქ გაატივა სულ ყველას, იწვიან ცეცხლის ალებით,
იქით გავრბივარ მწუხარე დეპეშით დანაბარებით.

მიველ—რა, ვნახე, დასაქცევს, აბუზულია სულ ყველა,
ზოგს მუცელა სჭირს, ზოგს ქლექი—თუ ციება და თუ
ხველა.

იგლიჯებიან არ გზოგვენ, სიძვირე ყველგან ჩარჩობა,
გლეხს რალას ერჩი საწყალსა, ოთახს სცემს სახმედვაჭ-
რობა;

ექიმ ფერშალი მოსულა, ვით თაფლს ესიოს ბუზები,
აჭირაკებენ, უბღვერენ ერთ - ურთზე ანაბუზები...
ელექტრო გინდა სხივები, სიცოცხლის ყველა მაშინა,
მაგრამ აფთიაქს არა აქვს არც სხვა წამალი არც ქინა;
საქმიანობა გასინჯეთ „მზრუნველი" სახმედ—ვაჭრისა,
კომბინაციით სჯობიან აშორდიას და კვაჭისა;
სრა სასახლების აგებას ვინ დაავალებს, რა სჯისა,
ქინის არ მქონე მმართველი ღირსი არ არის დასჯისა?!
„თვისაში დვირეს ვერ ამჩნევს, სხვის თვალში ეძებს ბეწ-
ვებსა"
თუნდ ოცდაათჯერ დასწერეთ ოდნავ არ შეჰრის ბეჭებსა,
ქინა რათ გვინდა მწარეა, სჯობს ჩვენი ტუჩი დაიტკბოს,
„ტარტაროზსა" და მოშ-გლეხინს უფრთხილდით არა
შეიტყოს.

ჰაგიერი.

# მიტოვებული ტარტაროზი



— ყველა შვებულებაშია, ყველამ მიმატოვა ამ ცხელ თბილისში. მართალია, ტარტაროზი ვარ, მაგრამ გაგრილება არც მე მაწყენდა.

# იმერეთიდან იმერულათ

რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი — ერთობ უცნაური მთავრობაა ჩვენი მთავრობა. თავის ფარგალსა და კალაპოტში ალარევის და არაფერს ალარ აყენებს — არც სულიერსა და არც უსულოს.

საუკუნოზე მეტ ხანს ვიყავით რუსის იმპერატორების ხელში. ე ფარგალი და კალაპოტი მაშინ იყო, თუ იყო. ის უფრო მუხრუჭი იყო, რკინის სალტები და თავათ საბორკილე სამუხრუჭოები, სხვებს აბორკილებდენ.

მეიტეხეს კისერი იმპელატორმა და მისმა ქეშიკებმა, მევიდა ჟორდანია, შეცვალა ვითამ და გაშალა ცოტათი ფარგალი, მარა „დიდების", და „პატარებისთვის" ერთი ზომით მოუსვა ფარგალი და ერთ კალაპოტში მეინდომა ორივესი ჩაყენება. და გახუნდა ლილახანა!...

ახლანდელ მთავრობას რო ფარგალი და კალაპოტი აქ—ეს თელათ ხალხისათვისაა კაი და გამოსადეგი. და უნდა მიხვდეს ყველა, რაც მისთვის საკეთილოა, თვარა, ვინც განზე გეიხრება და გეიდრიკება, იცოცხლე მუხრუჭი ახლაც იყოს!.. მისი არ იყოს, ტერტერამ რო უთხრა მოსანათლავ აჯღვირებულსა და გაჭინჭყლებულს ბალანას:— შვილო, რა გაყვირებს — განათლავ, ხო არ გკლავო—ეს ჩვენი მთავრობაც მის რჯულსა და ადათზე თავისებურად განათლავს, თუ კი შეისმენ, თვარა და მერე—რაც მოგივა დავითა—ყველა შენი თავითა!

ასეა ეს სულიერზე, და ვისაც სულდგმულს კვინიხში რამე გააჩნია, უნდა მიხვდეს ამას. მე ახლა უსულოზე გადავდივარ და ზევითური წილადობილა ამან დამაწერია.... მტკვარი და რიონი!

მითამ უკუნი ჟამიდან ეს ორი მდინარე ჩვენი ქვეყნის ორ შუაგულს, ლიხეთის მილმა-მოლმა რწყავს, ბანს, აპოხიერებს, რეცხს, ამწვანებს და ალამაზებს... ორივეს გააჩნია თავის კალაპოტი, გოუხვრეტიათ ჭალა, დაბილო, ვაკე, ტყე და კტე და რა ბუნების ძალა დაუხვდებოდა ამგენს წინ, რა მათი დენა შეეჩერებია!.. მოხდა სასტაული!

შამევიდენ ბოლშენიკები, სთქვეს — ჩვენ კომუნისტები ვართო და ვერ მევითმენთ, რომ სულიერი თუ უსულო იქნება, თავისკენ იქაჩებოდეს, ძალაუფლება ერთის ხელში იყოსო. თუ კი რამე სიკეთე გაცხია, სხვასაც უნდა გოუნაწილო ძმურათ, აფხანაკურათ. შენ შაქარს მიირთმევდე და მე კვაწარახს — კალონი არააო.

ამ საბუთებით ჯერეთ მტკვარს დეეძგერა—გაგვიყავი შენი ავლადიდებაო — გააკავა, ოუშენა მოკირწყლული ზღუდეები, უცვალა კალაპოტი, შეგუბა, შედბორა, მეიმწყვრია მუხრუჭში და თავისს ნებაზე წეიყვანა განათლებისა და განათებისათვის გამოსაყენებლათ... ე მტკვარის საქმე რო გაჩალდა ახლა იმერეთში, იმერელივით ფხიკიანს, ჭინჭულს და შფოთიან რიონსაც უპირობს მტკვრისფერად გამოყენებას.

ჰო და, რავა გინდა ახლა!? ამფერ ოსტატსა და მაცადინ ხალხს, ცხრა მთის იქიდან მოსდგომია ორი ნოე და წერილებით და უსტრებით აპირობენ თავის გუნების კიდობნის აშენებას ჩვენში, რაცხა დურგლები მეჯახე და მამასახლისები იდვენ, აქანა არ იყვენ?.. მუყურ, ოჯახში ტრიალობდენ და ვერაფელი გააკეთეს, ერთხელაც ვერ მოიტრიალეს წალმა კერია.. ვითომ ახლა სხვანაირათაა საქმეო, ჩვენკენაა ბგლიჩანი და პაპაო...

ვაი, მათ პაპაის!..

იმერელი.

# ცნობათა მიღება



**ხიზის** (თბილისი).
თქვენ გვწერთ:

„თავს ვანებებ სიმულიაციას,
აღარ ვილებ მე კომპენსაციას...
თავს ვანებებ მუშტაიდში ტრიალს,
გადვეჩვევი შიკირკებზე ღრიალს...“

კოდვების მონანიებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ყველას მოინანიებთ. ერთი დიდი ცოდვა კიდევ დაგრჩენიათ: ეს გახლავთ—ლექსის წერა.

თუ ამასაც თავს დაანებებთ, თქვენზე უწმინდესი კაცი აღარავინ იქნება.

**ურჩს** (თბილისი).
ურჩის ლექსი ასე თავდება:

„... ვისაც ჩემი ლექსი მოსწონს,
ერთხელ კალმისტარი მიქოს...“

შეიძლება თქვენი კალმისტარი მართლაც ძალიან კარგი იყოს, ლექსის შესახებ კი, თუ უკაცრავად არ ვიქნებით, საქებს ვერაფერს ვიტყვი. მან პატიოსნათ განისვენა წიაღსა შინა გოდრისასა.

(ჭიათურა).

„მინდა, რომ სტვირი მოვმართო
ავაწკრიალო სიმები
და ჭიათურას უმღერო
სიმტკიცით დანაპირები
პირველად უმღერ ნაზის ხმით.
წითელ მუშურ სასადილოს
არას ვიტყვი მის გარშემო,
სავაგლახო სასაცილოს.
შეხვალთ, გინდათ ისადილოთ
შიმშილისგან გიწუხსთ სული.
სანამ სადილს მოიტანდენ
გილონდებათ მწარეთ გული.
ამ სადილის მოლოდინში
იკარგება ჭამის ხოში
კუხნისაკენ იყურები
ჯერ არ მოსჩანს არსად ბორში“.

ძალიან გულუბრყვილო ადამიანი ყოფილხართ ამხ. ზიპო! რომელ „წითელ სასადილოში“ მოაქვთ დროით სადილი? თქვენ გგონიათ მარტო ჭიათურაშია ასითი წესი? ყველგან, ამხ. ზიპო!

ამით მაინც ინუგეშეთ!

**ლაპლაპას** (ქუთაისი).
მოსაწონია ასეთი სურვილები?

„... მინდა გავხდე ნაჩალიკი.
მყავდეს ლიჩნი სეკრეტარშა.
ავტომობილით ვიარო
წვიმასა და კარგსა დარში“...

შეგირცხვა ნამუსი! ან ასეთი ლექსი რამ დაგაწერია, ან ასეთი სურვილები რამ დაგიბადა?!

**შიმშოს** (ხონი).
შიმშო გვიწყრება: „... რამდენჯერ მოვიწერე ხონის ბაზრობის შესახებ, რამდენჯერ არ დავასურათე რომ საქონელი ნეხვს ყრის და ბაზრის ადგილს აბინძურებს, რომ ლაყე კვერცხები იყიდება,—არასოდეს არ დამიბეჭდეთ“...

რა ვქნათ, ძვირფასო შიმშო? პირუტყვის ბუნების გადაკეთება ჩვენ არ შეგვიძლია, ხოლო ლაყე კვერცხს ნუ იყიდი და კარგი აარჩიე.

**კულაშელს** (სამტრედია).

„აქეთ გორა, იქით გორა..
მსუქანი ვარ და სულ ვგორავ
ჭკუა აზრი დამებნა და
აღარ ვიცი რასაც ვროშავ...“

..ა, ღმერთმა გაცხონოს, მართალი კაცი ყოფილხარ! ..კ დაგიდასტურებ — როშავ, დიდ სისულელეს როშავ!

**ევტეხიას** (ოზურგეთი).
ევტეხიას კარგი სურვილები აქვს:

„ასე და ამრიგად ამხ. ტარტაროზო, მინდა გავხდე თქვენი თანამშრომელი რომ აქანეის უწმინდურობა მოვსპო. ჭაობები ამოვაშრო. ქალაქის ცენტრი გავასუფთაო. გიგზავნი სანიმუშო ლექს:

„ცხვირის ნესტო გამებერა
სუნი მეცა საოცარი..
მტვერისგან და ტალახისგან
გამიშავდა გულ-ფიცარი...“

ქენი სიკეთე, მადაურ სანიტარულ კომისიას საქმით დაეხმარე, თორემ შენმა ლექსმა, გოდორში რომ არ გადაგვეძახა, კინაღამ „ტარტაროზშიც“ შექმნა ანტისანიტარული მდგომარეობა.

**მ-ას** (ტფილისი-ჩოხატაური).
გასაკვირველ ამბავს გვწერს ამხ. მ-ა:

„ჩოხატაურსა განაგებს
სიხარულიძე ვამეხი,
შეხედულობით ახმახი
სიტყვა-პასუხით ქვა-მეხი.
„სატანისგან“—სიები აქვს
მხოლოდ ნიშნის დასასმელათ,
შიგ სწერია ვინც მზად არის
საიქიოს წასასვლელათ.
თანაშემწეთ, მხარში ტოლათ
ჯიბუტი ყავს მელიტონი,
ამ საქმეში „სპეციალისტი“
პიროვნება მოსაგონი“.

რამდენ კაცს კლავენ ყოველ-კვირეულად? მილიცია რას შვება? მილიციაც ხომ არ ამოუჟლეტიათ? სასწრაფოთ გვაცნობეთ ყველაფერი. დარჩა კიდევ ვინმე ჩოხატაურში?

**მორს** (ლანჩხუთი).
„ქორი“ ლექსს გვიგზავნის და გვწერს:

**„... თუ სანწყენად არ მიიღებთ, დამიბეჭდეთ ლექსი და შემდეგაც გამოგიგზავნით...“**

სწორედ ძალიან გვეწყინა და თუ შემდეგში კიდევ გამოგზავნე,—გავბრაზდებით. ფიცხი სისხლი გვაქვს, გვერიდე!

---

## კონკურსი № 5-ის შედეგი
## გამოცხადებული იქნება
## „ტარტაროზი“-ს
## შემდეგ ნომერში

„მყიდველები ხშირად სჩივიან, რომ კოოპერატიულ დუქნებში ნოქრები მათ უხეშათ ექცევიან".

(გაზეთებიდან).



მყიდველი გლეხი: კბილებს რათ მიკრიჭინებ?..ერთი ცილო მარილი გთხოვე, ხომ არ გამილანძღიხარ?!

ალმასკომის 1-ლი სტამბა, ქამოს ქ. № 68.